**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №594**

**2021 წლის 20 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისთვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

**მუხლი 1**

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში არსებულ 232635 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №72.08.01.054) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს/ტერიტორიას მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განსაკუთრებული რეგულირების ზონაში დამტკიცდეს სამრეწველო-ეკონომიკური რეჟიმი.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**